With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია
EUropeanisation of LAW Programs

კონფერენცია „იკვლიე ევროკავშირი საქართველოსთვის“

Conference “Research the EU in favor of Georgia”

დაშვებისა და რეგისტრაციის პირობები

Admission and Registration Terms

კონფერენციის სტატუსი და ზოგადი ინფორმაცია

ერასმუს+ ჟან მონეს მოდულის ფარგლებში *„სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“* ტარდება ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია **„იკვლიე ევროკავშირი საქართველოსთვის“.**

მოდულის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, კონფერენციამ და მის ფარგლებში წარდგენილმა სამეცნიერო მოხსენებებმა (აბსტრაქტებმა) ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს სამართლის, პოლიტიკის, პრაქტიკის ევროპეიზაციას და ევროკავშირის შესახებ ახალი ცოდნის გენერირებას/შემოტანას ქართულ სამეცნიერო და დარგობრივ სფეროებში. https://cu.edu.ge/en/grant-projects/ongoing-projects/zhan-mones-proekti/eu-lp-ge

კონფერენცია ჩატარდება 2025 წლის 12 ივნისს (ხუთშაბათს), კავკასიის უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში (მე-3 სართული), 10.00 სთ.; პ. სააკაძის 1, თბილისი.

მოხსენების/აბსტრაქტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები

საკონფერენციო მოხსენების წარდგენა შეუძლიათ აკადემიურ პერსონალს ან სტუდენტებს. მისასალმებელია **ლექტორისა და სტუდენტის** ერთობლივი ქმედება.

რეგისტრაციისთვის აუცილებელია აბსტრაქტის მომზადება **1000-1500 სიტყვის ფარგლებში (სიმბოლოების გარეშე).**

აბსტრაქტი უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე; მოხსენება უნდა გაკეთდეს ქართულ ენაზე.

აბსტრაქტში უნდა მიეთითოს ავტორის (ავტორთა) სახელი/გვარი, აკადემიური პოზიცია/სტატუსი, უსდ-ის დასახელება და ელ-ფოსტა.

მოხსენება/აბსტრაქტი უნდა მომზადდეს შემდეგ სფეროებში:

- ევროკავშირის კულტურული მრავალფეროვნება;
- ევროკავშირში საქონლის იმპორტი (საბაჟო კვეთა/საბაჟო კავშირი);
- ევროკავშირის მწვანე პოლიტიკა;
- ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკა;
- ევროკავშირის შრომისა და დასაქმების პოლიტიკა;
- ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა;
- ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა;
- ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ხელოვნური ინტელექტი, ტექნოლოგიები და ინოვაციები;
- ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა (გაფართოების პაკეტები 2023, 2024 და 10 ქვეყანა);
- ევროკავშირის მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკა;
- ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები და ვაჭრობა;
- ევროკავშირის შიდა ბაზრის ფუნქციონირება;
- ევროკავშირის ბიუჯეტი.
- ევროკავშირის სოციალური პოლიტიკა;
- ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა;

ზემოაღნიშნული სფეროების გათვალისწინებით ავტორებმა უნდა წარმოადგინონ <u>კონკრეტული და ვიწრო საკითხი</u> (ასახული მოხსენების სათაურსა და აბსტრაქტში);

აბსტრაქტში უნდა ჩაშენდეს:

ა) მთავარი საკვლევი ასპექტი, ძირითადი შეკითხვა ანდა თეზა;
ბ) კვლევის მიზანი და საგანი;
გ) კვლევის სიახლე/აქტუალობა (რა/რომელი ახალი და კონკრეტული ცოდნის გენერირება ხდება, რაც შემოიტანს ახალ ინფორმაციას და სააზროვნო/საანალიზო საკითხს ქართულ სამეცნიერო სივრცეში; მოხსნება არ უნდა შეეხოს მრავალჯერ ნაკვლევ/დაწერილ საკითხს. პრინციპულად მნიშვნელოვანია იყოს სიახლე, კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ);
*დ) მოხსენება უნდა ეხებოდეს ევროკავშირის, როგორც სუპრანაციონალური კავშირის <u>სამართალს, პოლიტიკას, ისტორიას, პროგრამას, ბიუჯეტს, ქმედებას ან/და პრაქტიკას</u> (შესაძლებელია ერთი კონკრეტული ქეისის/ევროკავშირის მართლმსაჯულების **სასამართლო გადაწყვეტილების***

*მიმოხილვა/ანალიზი); **ან** გაფართოების ქვეყნების შედარებითი მიმოხილვა რომელიმე ვიწრო სფეროში (**EU Enlargement Pack 2023 და 2024** დოკუმენტებზე დაფუძნებით).*
ე) სამეცნიერო/კვლევით მეთოდზე მითითება და საჭიროების/გამოყენების განმარტება;
*ვ) წყაროების მიმოხილვა (კლასიციფირებული სისტემით, მაგალითად, ნორმატიული მასალა, სამეცნიერო წყაროები ავტორების მითითებით, ორგანიზაციების/ოფიციალური სუბიექტების ანგარიშები, გადაწყვეტილებები, რეზოლუციები ან შეფასებები; სტატისტიკური ინფორმაცია, და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ დასტურდებოდეს **უახლესი და განახლებული წყაროების მოხმობა**.*

- აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა აიკრიფოს Sylfaen ფონტის გამოყენებით; სათაურის შრიფტის ზომა - 12, გამოკვეთილი (BOLD); ავტორთა სახელი/გვარი, აკადემიური პოზიცია/სტატუსი, უნივერსიტეტის დასახლება და ელ-ფოსტა სათაურის ქვემოთ მარჯვენა კუთხესთან სწორებით, შრიფტის ზომა - 10, დახრილი; აბსტრაქტის ტექსტი ორივე მხარესთან სწორებით, შტრიფტის ზომა - 12; სტრიქონებს შორის მანძილი - 1; აბზაცებს შორის მანძილი - 1.5. **აბსტრაქტი უნდა მომზადდეს word-ის ფორმატში.**

კონფერენციის კოლეგია

კონფერენციის კოლეგიაში შედიან:

- ჟან მონეს მოდულის პროფესორი და კოორდინატორი: ეკატერინე ქარდავა;
- ჟან მონეს მოდულის პროფესორი გურანდა ჭელიძე;

აბსტრაქტის/მოხსენების დაშვების პირობებს განიხილავს კოლეგია ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით. დაშვება დადასტურდება პასუხით კოლეგიის მხრიდან.

რეგისტრაცია

აბსტრაქტი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მეილებზე:
eka_kardava@yahoo.com
ekardava@cu.edu.ge
gchelidze@cu.edu.ge

საკონფერენციო მასალების გამოქვეყნება და მონაწილეობის დადასტურება

დარეგისტრირებული აბსტრაქტი გამოქვეყნდება საკონფერენციო მასალების ჟურნალში მხოლოდ მას შემდეგ, რაც ავტორი/ავტორები წარადგენენ მოხსენებას კონფერენციაზე.

კონფერენციის ენაა ქართული.

საკონფერენციო მასალები გამოქვეყნდება ელ-ჟურნალის სახით და გავრცელდება საჯაროდ.

კონფერენციის მონაწილეებს მეილზე დაუდასტურდებათ კონფერეციაში მონაწილეობა/მოხსენების გაკეთება.